წინამდებარე დოკუმენტი დამტკიცებულია
ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ
2019 წლის 11 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე, ოქმი N09
ნდ N 2-0401-07

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის
ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმები

1. შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმები შემუშავებულია შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის გათვალისწინებით და მოიცავს:
   1.1 სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა მონიტორინგსა და მისი შედეგების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში;
   1.2 აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის შეფასებას;
   1.3 ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება;
   1.4 სერვისების შეფასება;
   1.5 მატერიალური რესურსის შეფასება;

2. სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა მონიტორინგი და მისი შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროცესში.
   2.1 სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდგომში სასწავლებელი) ხარისხის განვიტარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.
   2.2 სასწავლებელის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუშავდება:
      2.2.1 სტუდენტების მიერ პროგრამის ათვისების მაჩვენებელი;
      2.2.2 სტუდენტების მიერ საგნებში მიღებული შეფსაბების სტატისტიკა;
      2.2.3 სტუდენტების გამოკითხვის კითხვარები;
      2.2.4 პროგრამებიდან განთესვის მაჩვენებელი;
   2.3 წარმოდგენილი შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძვანელთან ერთად, შემდგომ კი იხილება სენატზე;
   2.4 სენატის მიერ საკითხის განხილვის შემდგომ სენატი შეიმუშავებს შედეგების შესაბამისად განსახორციელებელ მოქმედებებს.

3. სასწავლებელი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის (შემდეგში „პერსონალი“) საქმიანობის შეფასება მოიცავს, (პედაგოგიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის) შეფასებას.
   3.1 პედაგოგიური საქმიანობის შეფასება:

3.1.1 საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და სრულყოფის პროცესში ჩართულობა;

3.1.2 სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატიური განახლებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობა;

3.1.3 სასწავლო მასალების (სალექციო/ჯგ.მუშაობის, დავალებების მასალა და სხვა) შემუშავება, განახლება და სრულყოფა;

3.1.4 შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება;

3.1.5 სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის (გამოკითხვების) შედეგები;

3.1.6 ცოდნის შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი (სტუდენტთა ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ);

3.1.7 სტუდენტთა შეფასებების (მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი) სტატისტიკური ანალიზი;

3.1.8 სტუდენტების ინტერვიუირების შედეგები (საჭიროება განისაზღვრება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);

3.1.9 ლექციების/ჯგ.მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიულის/სხვა მონიტორინგი;

3.1.10 სტუდენტთა კონსულტირება;

3.1.11 სხვა აკადემიური აქტივობა (სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.).

3.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება

3.2.1 სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/საკონფერენციო თეზისები - შეფასება განხორციელდება სამეცნიერო ღონისძიების სტატუსის, დარგთან შესაბამისობისა და წაკითხული მოხსენების ანალიზის შესაბამისად;

3.2.2 სამეცნიერო ნაშრომები/გამოგონება/პატენტი - შეფასება განხორციელდება სამეცნიერო პუბლიკაციის გამოცემის გათვალისწინებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის გადაწყვეტილებით ან/და შესაფასებელი პირის მოთხოვნით, ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შერჩეული შიდა ან/და გარე შემფასებლის მიმოხილვის საფუძველზე. გამოგონება ან/და პატენტი შეფასდეს მისი ხარისხისა და დანერგვის შესაბამისად;

3.2.3 გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღება, მაგრამ ვერ გამარჯვება (მაქსიმალური შეფასების 80% და მეტი) - შეფასება განხორციელდება შესაფასებელი პირის სამეცნიერო საგრანტო პროექტში პოზიციისა და მის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესაბამისად. პროექტის ხელმძღვანელობა შეფასდეს „ძალიან კარგით“, ხოლო პროექტში მონაწილე პირის შეფასება მოხდეს საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის

მიერ. საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღების, მაგრამ ვერ გამარჯვების შემთხვევაში პროექტში მონაწილეობა შეფასდეს შესაფასებელი პირის პოზიციისა და საგრანტო პროექტის საერთო შეფასების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს „დამაკმაყოფილებლით“;

3.2.4 სამეცნიერო პროექტებში სტუდენტების ჩართვა - შეფასება განხორციელდება დაფინანსებულ ან/და შესაბამის კონკურსში მაღალი შეფასების მქონე სამეცნიერო პროექტებში სტუდენტების ჩართულობისა და პროექტში მათი პოზიციის როლის გათვალისწინებით;

3.2.5 სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

3.2.6 სამეცნიერო სემინარების მუშაობაში ჩართულობა - შეფასება განხორციელდება შესაბამისი მიმართულების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო სემინარებზე მონაწილეობის ან/და წარმოდგენილი მოხსენებისა და შესაბამისი პრეზენტაციის ანალიზის საფუძველზე;

3.2.7 სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა - შეფასება განხორციელდება ჩასატარებელი ღონისძიების ორგანიზებაში შესაფასებელი პირის როლისა და ჩასატარებელი ღონისძიების ტიპის (სიმპოზიუმი, კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა/ვორქშოპი, საზაფხულო სკოლა), სტატუსის (ადგილობრივი, საერთაშორისო), ღონისძიების დარგთან შესაბამისობისა და მასშტაბის შესაბამისად;

3.2.8 სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა (სამეცნიერო ხელმძღვანელობა) - შეფასება განხორციელდეს სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტთა მონაწილეობისა და მიღწეული წარმატების გათვალისწინებით (სანიმუშო, ძალიან კარგი, კარგი ნაშრომის შემთხვევაში);

3.2.9 სხვა სამეცნიერო აქტივობები (სამეცნიერო გამოცემის რედკოლეგიის წევრობა, მონოგრაფიის რედაქტორობა, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება, სადისერტაციო კომისიაში მონაწილეობა და სხვა).

3.3 აკადემიური პერსონალის სხვასაქმიანობის შეფასება

3.3.1 სასწავლებლის ღონისძიებებში მონაწილეობა;

3.3.2 სამსახურეობრივი ან/და კორპორაციული პასუხისმგებლობა;

3.3.3 შესაბამისი მიმართულების სხდომებში მონაწილეობა;

3.3.4 სენატის სხდომებში მონაწილეობა;

3.3.5 სასწავლებლის სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში/კომისიებში მონაწილეობა.

4. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ეფუძნება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დასაქმებულთა შეფასების წესს და პირობებს.

4.1 შეფასებას ექვემდებარება დასაქმებული ან/და მის მიერ შესრულებული სამუშაო შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში.

4.2 დასაქმებულის შეფასება ხდება დასაქმებულის ფუნქციების, კომპეტენციების, უნარ-ჩვევების, ქცევის წესების ან/და მის მიერ განხორციელებელი მიზნებისა და

ამოცანების (კომპონენტების) შეფასების შედეგების შესაბამისად. შეფასება ხდება დოკუმენტური მასალის შეფასებითა და დასაქმებულისთან გასაუბრებით.

4.3 დოკუმენტური მასალა მოიცავს შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით სასწავლებელში არსებულ დოკუმენტაციას. სასწავლებელი უფლებამოსილია, შეფასების მეთოდის განსაზღვრასთან ერთად, დაადგინოს შესაფასებელი დოკუმენტური მასალის შექმნის წესი.

4.4 შესაფასებელი პერიოდის დაწყებისთანავე გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრავს შეფასების მეთოდს, ასევე დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესს, ხოლო უშუალო ხელმძღვანელი აცნობებს მას დასაქმებულის, ასევე განუმარტავს შეფასების მეთოდს, შეფასების ქულების მინიჭების, საბოლოო შედეგის გამოთვლისა და გასაჩივრების წესს.

5. სერვისების შეფასება

5.1 სასწავლებლის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, სასწავლებლის მიერ შეთავაზებული სერვისები. სერვისების შეფასების მიზანია, მიწოდებული სერვისების ანალიზი და მისი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

5.2 სერვისების შეფასება, უნდა მოხდეს, როგორც ადმინისტრაციის აგრეთვე სტუდენტების მხრიდან. გამოკითხვის ფორმების მეშვეობით, წარმოდგენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური სასწავლებელის ადმინისტრაციას წარუდგენს რეკომენდაციებს.

5.3 სერვისების შეფასება მოიცავს:

5.3.1 ფაკულტეტის, დეპარტამენტისა და ცენტრის მუშაობის შეფასებას;

5.3.2 საინფორმაციო ბაზის მუშაობის შეფასებას;

5.3.3 ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებას;

3.4 შეფასება ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვის მეშვეობით.

6. მატერიალური რესურსის შეფასება

6.1 მატერიალური რესურსების განახლებისათვის საჭიროა ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელდეს არსებული რესურსების მუდმივი შეფასება (მატერიალური ბაზა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ელექტრონული რესურსები).

6.2 შეფასების ჩატარებისას უნდა გამოიკითხოს სასწავლებელის ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, გამოკვეთილი ხარვეზების გათვალისწინებით ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ანგარიშს.

7. შეფასების პერიოდულობა

შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმებით გათვალისწინებული შეფასება

ხორციელდება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.